ცხოვრების მიზნად სიმართლე გვქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

ალიონი

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი ● №35-36 (10074) 15 სექტემბერი 2014წ ● ფასი 40 თეთრი

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ჩემო ოზურგეთელო მოსწავლეებო, პატივცემულო პედაგოგებო და მშობლებო, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

დარწმუნებული ვარ, ეს წელი თითოეული თქვენთაგანისათვის გაცილებით ნაყოფიერი, საინტერესო და წარმატებული იქნება, რადგან წელს მთავრობამ ბევრი ახალი პროექტი შეიმუშავა სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. ხელისუფლების მხრიდან ზოგად განათლებაზე ზრუნვა კვლავაც პრიორიტეტული იქნება.

ბედნიერი და წარმატებული სასწავლო წელი ყოფილიყოს ყველასათვის და განსაკუთრებით პირველკლასელთათვის, რომლებიც წელს პირველად შეუდგებიან განათლების ოლიმპოსკენ მიმავალ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გზას.

ზვიად კვაჭანტირაძე.

თქვენი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში.

ძვირფასო მოსწავლეებო, პედაგოგებო, მშობლებო!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. განსაკუთრებული სიყვარულით ვულოცავ ყველა პირველკლასელს, ყველა პირველ კურსელს.

გისურვებთ წინსვლას და წარმატებას!

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ჩემო ოზურგეთლებო!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ეს დღე თითოეული თქვენთაგანის ცოდნისა და განათლების სრულყოფილად დაუფლების საწინდარი ყოფილიყოს!

გელა კობალაძე,

ქ. ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე

ჩემო ოზურგეთლებო!

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ყველა პედაგოგს, მოსწავლესა და მშობელს. ჩემი განსაკუთრებული მილოცვა პირველ კლასელებს.

ჩვენთვის პრიორიტეტულია მომავალი თაობის განათლება, ამიტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დიდი ყურადღება მიექცევა სკოლებში არსებული პრობლემების მოგვარების საკითხს.

გისურვებთ წარმატებებს ცოდნის დაუფლების გზაზე!

მერაბ ჭანუყვაძე,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი,

ჩემო ოზურგეთლებო!

უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით მინდა 2014–2015 სასწავლო წლის დადგომა მივულოცო ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, სტუდენტსა და მათ მშობლებს. ეს დღე უმნიშვნელოვანესია თითოეული ჩვენთაგანისათვის, რამეთუ, განათლება ეს ის სეკთეა, რომელიც ყოველ ჩვენგანს მთელ საზოგადოებად გვაერთიანებს და ჭეშმარიტებასთან მიგვაახლებს.

განსაკუთრებული სიყვარულით მივულოცავ სწავლის დაწყებას პირველკლასელებს, ისინი ხომ ყველაზე დიდი მოლოდინით ხვდებიან ამ დღეს.

მინდა ასევე ჩემი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო იმ მასწავლებლების მიმართ, რომელთა ძალისხმევითაც დღემდე მოვიდა ჩვენი სკოლა და დღესაც, სწორედ, მათ მხრებზე დგას სასკოლო რეფორმების მთელი სიმძიმე. ძვირფასო პედაგოგებო, გისურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობასა და წარმატებებს.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენი ქალაქის ყველა სტუდენტს, გვინდა, დაგარწმუნოთ, ჩვენ გვჯერა თქვენი ნიჭიერების, მონდომების და იმის, რომ ცოდნით შეიარაღებულები დაუბრუნდებით საკუთარ ქალაქს, რათა თქვენი წილი სიყვარული გაუნაწილოთ მშობლიურ ოზურგეთს.

ჩემო ძვირფასებო, კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ახალი სასწავლო წლის დადგომას, ეს წელი იყოს გამორჩეული თქვენს საქმიანობაში, როგორც ახალი საინტერესო იდეების, წარმატებებისა და გამარჯვების მომტანი წელიწადი.

გვიგულეთ თქვენს გვერდით

პატივისცემით, ქ.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბეგლარ სიორიძე

კურორტ გომისმთაზე წმ. ილია თესზბიტელის სახელობის ტაძარი აიგება

▶▶▶ გვ-5

მაღაზია „ნეპტუნი“ გილოცავთ ახალი სასწავლო წელს!

ინდ. მეწარმე „ავთანდილ ჭანუყვაძე“ მუდამ თქვენ სამსახურში!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ.№15.

(რ)

7 დღის ამინდის პროგნოზი

15 სექტემბერი	ორშაბათი	მზე +16+25
16 სექტემბერი	სამშაბათი	მზე, +16+25
17 სექტემბერი	ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი +17+26
18 სექტემბერი	ხუთშაბათი	მცირე წვიმა +18+27
19 სექტემბერი	პარასკევი	წვიმა +16+20
20 სექტემბერი	შაბათი	წვიმა +14+17
21 სექტემბერი	კვირა	წვიმა +12+17

ძვირფასო მოსწავლეებო, პედაგოგებო, მშობლებო!

უღრმესი პატივისცემით მივესალმები და ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას-ოზურგეთის საგანმანათლებლო სისტემის ყველა მუშაკს, მოსწავლე ახალგაზრდობას, საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს, მშობლებს. განსაკუთრებით კი იმათ, ვინც პირველად შეაბიჯებს საკლასო ოთახებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

ვიმედოვნებთ, რომ ყველა მოსწავლე, სტუდენტი ახალი შემართებით, სიბეჯითით შეუდგება სწავლას.

თქვენ კი, ჩემო კოლეგებო! გისურვებთ უდიდეს წარმატებებს მცოდნე, განათლებული, ზნეობრივად გაწმენდილი თაობის აღზრდის საქმეში, რაც ნათელ სვეტად წაადგება თქვენს მოსწავლეებს მამულის სამსახურში.

წარმატებული და ნაყოფიერი ახალი სასწავლო წელი მისურვებია.

უფლის შემწეობა არ მოგკლებოდეთ.

როზა გოგუაძე.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

გურიის გუბერნატორმა კონკურსის შედეგები გამოაცხადა

გაზეთი „ალიონი“

8 სექტემბერს, გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ კონკურსის შედეგები გამოაცხადა.

ეს კონკურსი 2014 წლის 14 ივლისს გამოცხადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედ საკონკურსო-საასტეტაციო კომისიას გიორგი ჩხაიძე ხელმძღვანელობდა.

კომისიის წევრები იყვნენ: ივანე მენაბდე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); ლევან ჩხაიძე, ნატო ბილიხოძე, თეიმურაზ ქინქლაძე.

–შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად კონკურსის პირველი ეტაპი გადალახა 174-მა აპლიკანტმა. კონკურსის მეორე ეტაპი წარმატებით გაიარა 23-მა აპლიკანტმა. რამდენიმე თანამდებობა ისევ ვაკანტური დარჩა. ხვალიდან გურიის სამხარეო ადმინისტრაცია სრული დატვირთვით დაიწყებს მუშაობას. მიხარია, რადგან ყველა კადრი კვალიფიციური, კომპენტენტური კომისიის მიერაა შერჩეული და მათ პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება.–განაცხადა გიორგი ჩხაიძემ.

სახელმწიფო რწმუნებილის-გუბერნატორის აპარატში დაინიშნენ;

ნინო შეყილაძე-აპარატის უფროსი; ქეთი მოისწრაფიშვილი-მოადგილე; ნინო ლომჯარია-მთავარი სპეციალისტი; სოფიო სალუქვაძე, მაკა კვირკველია-უფროსი სპეციალისტი; თენგიზ ტოტოჩავა –სპეციალისტი.

ადგილობრივ-თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახური:

მერაბ ჩხაიძე-სამსახურის უფროსის მოადგილე; ეკა გუჯაბიძე, ლევან შახოვი- მთავარი სპეციალისტი; მარიამ დიდმანიძე, ნინო გიგინეიშვილი, ვიქტორ ბერუჩაშვილი, ნათია თოხაძე-უფროსი სპეციალისტი.

რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახური:

ანი ჩუბინიძე-სამსახურის უფროსი; კახაბერ ტოტოჩავა-მოადგილე; ვახტანგ გველებიანი, ლია ღლონტი, ნინო ვადაჭკორია, ლაშა ღლონტი, ნანა ვარდოშვილი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური:

ვლადიმერ მიქატაძე-სამსახურის უფროსის მოადგილე; სერგო ზაქარიაძე-სპეციალისტი.

მდივან-რეფერანტი-ანი ჩუბინიძე.

პრემიერ მინისტრი ველისციხეში

ვიდრების ხარისხით,–განაცხადა საქართველოს პრემიერ–მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კახეთში სტუმრობისას.

დღეს მთავრობის მეთაური სოფელ ველისციხეში შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ (ხელმძღვანელი ზურაბ ჩხაიძე) ახალი საწარმოს გახსნას დაესწრო, რომელიც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსდა.

გპირდებით, რომ რთველი 2014 გამორჩეული იქნება ორგანიზებისა და საბაზრო თვითრეგულაციის დამკ-

საზოგადოებრივი დარბაზი შეიქმნა

ბაზის მუშაობაში.

–ჩვენ ღიად ვართ საზოგადოებასთან ურთიერთობაში. საზოგადოებრივი დარბაზი იქნება მინი საკრებულო, რომელიც მზადაა თანამშრომლობისათვის.

საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ ახალი დარბაზი უფრო ეფექტური უნდა გახდეს, რადგან წინა საკრებულოსგან განსხვავებით, შეძლეს ბარიერის გადალახვა და დარბაზის სამოქმედო დებულება მიიღეს.

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თამარ ღლონტი ფიქრობს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები იმიტომ წევრიანდებიან დარბაზში, რომ მათ საზოგადოებრივი ინტერესი გაატარონ და ეს აისახოს საკრებულოს დადგენილებებში. ამას კი დებულება ითვალისწინებს.

11 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომას საკრებულოს ხელმძღვანელების გარდა ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ განაცხადა, რომ მზად არიან საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის. დარჩიას მოადგილე დიმიტრი კვერღელიძის აზრით კი, უნდა გაიზარდოს საზოგადოების აქტიურობა დარ-

ოზურგეთი მარნეულის „მწნილისა და მურაბის“ ფესტივალს მასპინძლობდა

გასულ შაბათს, ქ. ოზურგეთი „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ „მწნილისა და მურაბის ფესტივალს“ მასპინძლობდა. ღონისძიება ოზურგეთის თეატრალურ მოედანზე გაიმართა.

ფესტივალის ინიციატორი ქ. ოზურგეთში გამართვაზე ქ. ოზურგეთის მერია იყო. ადგოლობრივ მცხოვრებლებთან ერთად ფესტივალში ადგილობრივი ხელისუფლების წარმოადგენლებიც მონაწილეობდნენ. მოწყობილი იყო მწნილისა და მურაბის კუთხეები, სადაც სტუმრებს „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ უგემრიელესი და ქართულ ნედლეულზე დამზადებული მწნილისა და მურაბის დაგემოვნება შეეძლოთ. ფესტივალზე წარმოდგენილი პროდუქცია სპეციალურ ფასად გაიყიდა.

ფესტივალი გახსნა და მუსიკალური პროგრამა მიჰყავდა ფოლკლორულ ანსამბლს „მოძახილი.“ ბავშვებს კი ტკბილეული და საყვარელი ზღაპრის გმირები ელოდებოდათ.

„ჩვენ, მზე და ლურჯი ზღვა“

დაბა ურეკში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ინიციატივით გალა კონცერტი გაიმართა.

კონცერტში მონაწილეობდნენ ქართული ესტრადის ცნობილი სახეები: სალომე ბაკურაძე, მაკა ზამბახიძე, ანრი ჯოხაძე, ანსამბლი „ქუჩის ბიჭები“.

კონცერტს უამრავი დამსვენებელი დაესწრო. ისინი მადლობას გამოხატავდნენ კონცერტის ორგანიზატორების მიმართ და კურორტზე კვლავ ჩამოსვლის სურვილს აფიქსირებდნენ.

კონცერტის ბოლოს დამსვენებლებს სიტყვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ მიმართა, რომელმაც მუნიციპალიტეტის ზღვის და მთის კურორტების მნიშვნელობაზე და განვითარებაზე გაამახვილა ყურადღება.

სოფ. პერევში ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი გაიმართა

გაზეთი „ალიონი“

საქართველოს ულამაზეს მხარეში, ზემო იმერეთში, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ.პერევში, რომელიც ე.წ. ქართულ-ოსურ გამყოფ ზოლთან მდებარეობს, 6 სექტემბერს ქართული ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალზე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მონაწილეობდა. წარმოდგენილი იყო აფხაზების, ოსების, რუსების და სხვა ეთნიკური ჯგუფების ტრადიციული მრავალფეროვანი სამზარეულო.

გურია ოზურგეთით იყო წარმოდგენილი, რომლის ორგანიზატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან არსებული ქალთა გენდერული საბჭო იყო.

ფესტივალის სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე მანანა კობახიძემ, რომლის გამოსვლიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სიტყვები „საქართველო აფხაზეთშია, აფხაზეთი-საქართველოში; საქართველო ოსეთშია, ოსეთი-საქართველოში.“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სახელით გია გვაზავამ, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მსახიობმა დიმა ჯაიანმა და სხვა საპატიო სტუმრებმა.იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალის მნიშვნელობაზე ისაუბრეს: ციონალური სამზარეულოს ფესტივალის მნიშვნელობაზე ისაუბრა:

„განსაკუთრებული დღეა, თუნდაც იმიტომ, რომ ფესტივალი სიმბოლურად ქართულ-ოსურ ადმინისტრაციულ საზღვართან, სოფელ პერევში ტარდება, სადაც ქართველი ერი, მის კეთილგანწყობილებას კიდევ ერთხელ ადასტურებს, საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მცხოვრები ხალხების და ეთნიკური ჯგუფების მიმართ. ეს დღე კარგი სტიმული იქნება, ადამიანური კავშირების გაღრმავების, სახალხო დიპლომატიის განვითარების, ქართულ აფხაზური და ოსური ურთიერთობების გაუმჯობესების ახალი გზების ძიების. ფესტივალზე უგემრიელესი კერძებია წარმოდგენილი, გავეცანი სხვადასხვა კუთხის სამზარეულოს, მათ შორის გურულ ტრადიციულ კერძებს. ვიმედოვნებ, რომ ფესტივალი სისტემურ ხასიათს მიიღებს და ყოველწლიურად გაიმართება".

აღსანიშნავია, რომ გურული ტრადიციული კერძების დაგემოვნება, სტუმრებს ფოლკლორული სიმღერების ფონზე შეეძლოთ, რომელსაც გურული მომღერლების ტრიო „სამი ძმები გურულები“ (ტრისტან სიხარულიძე, ამირან გოლიაძე, ლევან ნინიძე) ასრულებდა .

ფესტივალზე შესაძლებელი იყო ხალხური რეწვის ნიმუშების შეძენა. გაიმართა კულტურული ღონისძიებები, ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების შესრულებით. ფესტივალის მონაწილეებს, მათ შორის ოზურგეთლებს სპეციალური დიპლომები და საჩუქრები გადაეცათ.

როლანდ კოპალიანი ქ.ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლექტორის მოადგილე, კოალიცია „ნდობა“ თავმჯდომარე:

„ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება არის გაგრძელება იმ კულინარიული ფესტივალისა, რომელიც აფხაზეთის საზღვართან სოფელ ხურჩაში 2012 წელს ჩატარდა. დღევანდელი შეკრება იმით არის ნაკარნახევი, რომ სოფელ პერევმა ძალიან რთული და მძიმე პერიოდი საკუთარ თავზე იწვნია. სოფელს ახლაც ურთულესი პერიოდი აქვს. ჩვენი ყველას ვალია, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობები ახალ სივრცეში და ახალ რეალობაში გადავიყვანოთ. აუცილებელია, ასევე შესწავლილი იქნას ის კერძები , რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მსოფლიოს შევახსენოთ საკუთარი თავი და ვუთხრათ, ჩვენ ვართ ერი, ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც ქვეყნის გაერთიანებისთვის იბრძვის, არა იარაღით, არამედ პოლიტიკური გზებით და საერთაშორისო დიპლომატიური კავშირებით“.

ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი მხარდამჭერები იყვნენ: ასოციაცია „ტურიზმი მშვიდობისა და განვითარებისთვის", /

ერთობლივი ინიციატივა **COBERM 2**, პერევის თემი, სათემო ცენტრი „ქარმანი“, ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია", -თა ქართულ-აფხაზური ოსური კოალიცია „ნდობა“, ბიზნესისა და განვითარების კავკასიური ქსელის თბილისის ოფისი და სხვა აქტიური ადამიანები.

გაზეთი „ალიონი“ სოფ. პერევის და მიმდებარე სოფლების მდგომარეობით დაინტერესდა.

სოფ. პერევი ყველაზე დიდი სოფელია საჩხერის ზედა ზოლის სოფლებს შორის და 250-მდე კომლი ცხოვრობს. აქვთ საშუალო სკოლა, სადაც 100-მდე ბავშვია. აქ ცხოვრობენ შუკაკიძეები, ტოროშელიძეები, ბეკოშვილები, იობაშვილები, გულიტაშვილები, ნოზაძეები, ბერიძეები, ჭიღლაძეები...ასევე აქ ოზურგეთლებიც ცხოვრობენ.

ნატანებელი შორენა ნადირიძე დათო იობაშვილის მეუღლეა. მათ ორი ვაჟი ჰყავთ.

—სოფლის მთავარი შემოსავლის წყარო მესაქონლეობა იყო. მთავარი საძოვარი სინაგურის მთის ფერდობებზეა, რომელიც ამჟამად რუსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა. დარჩა სოფელი საძოვრის, სახნავის გარეშე. თითო ძროხას თუ ვიყოლიებთ. ვისაც საშუალება აქვს, მიდის ქუთაისში, სხვა ადგილებში.

2008 წლის საომარი მოქმედებები რომ დაიწყო, ჩემი ვაჟები სინაგურის მთაზე იყვნენ. სოფლის ნახირი ჰყავდათ წაყვანილი. რუსები პერევში იყვნენ. შემდეგ მდინარე ღებურას გაღმა გავიდნენ. ქართველ სამხედროებს ვთხოვე დახმარება შვილების პოვნაში. მათ მთის მიდამოებში 5 პიროვნება დააფიქსირეს და გვითხრეს, უნდა გავარკვიოთ, ვინ არიან, ისე ვერ დაგეხმარებითო. დედას რა გააჩერებდა, ფეხშიშველა ავედი მთაში და ჩემი შვილი და კიდევ სამი მწყემსი სამშვიდობოს გამოვიყვანე.

ამ სოფელში ცხოვრობს შრომელი ნინო თარხნიშვილი. იგი მაკასარაშვილის მეუღლეა. მზია ნადირიძე...მდინარე ღებურას გადაღმა ყანაც დამანახვეს, რომლის ასაღებად რუსეთის „ბლოკ-საგუშაგოზე“ მიიღოს ნებართვა და შემდეგ ნაცნობ ოსს უნდა სთხოვოს, „საზღვართან“მიუტანოს მოსავალი...

მდ. ღებურას გაღმა სოფლებში ზედა და ქვედა ქარდმანში ქართველები ცხოვრობენ. მათ სხვა რეჟიმში უწევთ „საზღვრის“გადალახვა.

ი. ქ-ძე ოსურ პასპორტს მიჩვენებს.

-რუსები ჩვენს სოფელს ზემოთ იდგნენ, მაგრამ პერევში მიშა სააკაშვილმა ცნობილი აქცია რომ გამართა, მდინარე ღებურამდე ჩამოვიდნენ. ზედა და ქვედა ქარდმანიდან პერევის საშუალო სკოლაში 10 ბავშვი დადის. მათ 4 კილომეტრის გავლა უწევთ რუსების ბლოკ-საგუშაგომდე. სქსპეციალურ მოწმობებს წარადგენენ და შემდეგ გავლენ მდინარის გაღმა. თუ „სპრავკას“ვადა გაუვა, ისინი სკოლაში ვერ წავლენ.ზედა ქარდმანში ადრე 50 ქართული ოჯახი ცხოვრობდა. ახლა 5 ოჯახიღა დარჩა.

ქარდმანებს ფესტივალზე ქართული და ოსური სამზარეულო ჰქონდათ წარმოდგენილი. უფრო ქვემოთ კი ხინკალს ხარშავდნენ და ამ ხეობის სტუმრებს აგემოვნებინებდნენ.

სააქციო საზოგადოება „იმედი“ გილოცავთ ახალი სასნავლო წლის დაწყებას, გთავაზობთ სასნავლო ნივთების ფართო არჩევანს!

საჭადრაკო შემოდგომა ქალაქის ჩემპიონატით დაიწყო

10 სექტემბერს ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში , სტარტი აიღო ქალაქის 2014 წლის პირველობამ ჭადრაკში, რომელშიც ათი უძლიერესი მოჭადრაკეა ჩართული. ჩემპიონატი წრიული სისტემით, ორ წრედ ტარდება და იგი 16 სექტემბერს დასრულდება,

როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორმა, გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, —„წელს ქ.ოზურგეთის პირველობა განსაკუთრებული ფორმატით ტარდება, თუ მას შარშან მხოლოდ მუნიციპალური ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სახე ჰქონდა, წელს, ქალაქის ცალკე თვითმმართველ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ,მ ან რეგიონის და შესაბამისად საქართველოს პირველობის შესარჩევი ტურნირის დამოუკიდებელი სტატუსიც შეიძინა. ეს იმას ნიშნავს,რომ თუ შარშან მარტო ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ჰქონდა სამი ადგილი გურიის პირველობაზე ,წელს 3–3 ადგილი ეძნება ოთხ თვითმმართველ ტერიტორიულ ერთეულს—ქალაქ ოზურგეთს, ოზურგეთის ,ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს.

რაც შეეხება საკუთრივ შეჯიბრებას, 7 ტურის შემდეგ მინდია ჩხიკვიშვილს, 6, 5 ქულა აქვს, გიორგი გოგოლაურს და დავით ცეცხლაძეს 5,5-5,5 ქულა, ხოლო ელგუჯა ურუშაძეს—5. ზ. ანდღულაძემ ისიც გვაცნობა, რომ წელს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ურეკში,საკლუბო გუნდების პირველობას სექტემბრის ბოლოს ატარებს. ჩემპიონატში ქვეყნის თითქმის ყველა წამყვანი მოჭადრაკეა ჩაბმული, რაც ერთი მხრივ დიდი საპრიზო ფონდითაა განპირობებული(დაახლოებით 35 ათასი ლარი). აღნიშნული ღონისძიება მხოლოდ 8–10 კლუბის მონაწილეობითაა გასნაზღვრული და მათ შორისაა ოზურგეთის (როგორც მასპინძელი) ხუთი მოჭადრაკისაგან შემდგარი გუნდიც.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აკვილა სკოლის, პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეს, პედაგოგს, მშობელს ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

გელა ჟანუყვაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის განყოფილების უფროსი

შალვა კონჯარია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის დირექტორი

დავით ჟანუყვაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცხემლისხიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი

ტარიელ ანთაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი

წარმატებული წელი ოზურგეთელი აბიტურიენტებისთვის

15 სექტემბერს უმეტეს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი იწყება. ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები უკვე აგვისტოს ბოლოსთვის გახდა ცნობილი და წელს 26000-ზე მეტი პირველკურსელი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას. როგორც ცნობილია, ოზურგეთში საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს აბიტურიენტებმა. ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი ამბობს, ზუსტი სტატისტიკა იმისა, რამდენი პროცენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, მათგან რამდენმა აიღო გრანტი ან რამდენი აბიტურიენტი ჩაიჭრა ოზურგეთის მასშტაბით, არ მოიპოვება, თუმცა, როგორც ჩანს, წელს საკმაოდ კარგი შედეგები აქვთ მოსწავლეებს. „ზუსტი ციფრების დასახელება არ შემიძლია,მაგრამ ძალიან ბევრმა მათგანმა აიღო 100%-იანი გრანტი, წილობრივი პროცენტული გრანტი კიდევ უფრო მეტია.... არის ისეთი შედეგები,როცა მოსწავლეს მხოლოდ ერთი ქულა აკლდა მაქსიმალურ ქულამდე თუნდაც ისტორიაში, ქართულში, ინგლისურში და ა.შ. მიუხედავად იმისა,რომ ზემოთ აღნიშნული სტატისტიკა ამჟამად არ მოიპოვება, სკოლის დირექტორებს სწავლის დაწყების შემდეგ შეუძლიათ, გააკეთონ მსგავსი ანალიზი,თუ რამდენი მოსწავლე გახდა სტუდენტი და რამდენმა მათგანმა აიღო გრანტი,შემდეგ უფრო თვალნათლივ გამოჩნდება, თუ როგორი შედეგები იყო წელს ეროვნულ გამოცდებზე ჩვენს რეგიონში. მართალია, ყოველ წელს გვყავდა ჩვენ სასახელო მოსწავლეები, თუმცა წელს მათი რიცხვი საკმაოდ მაღალია,რაც სასიხარულოა და მე ვულოცავ ყველა მათგანს ამ წარმატებას.“- აცხადებს ლელა იმედაშვილი. ძნელია, გავარკვიოთ, თუ რამდენი აბიტურიენტი ჩაიჭრა წელს ჩვენს რეგიონში, რადგან უკვე გამარტივებულია აპელაციის პროცესი და მოსწავლეს თავად შეუძლია გაასაჩივროს საკუთარი ნაშრომი, შესაბამისად, აღარ არის საჭირო რესურსცენტრში მისვლა.

ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, ოზურგეთში ერთ-ერთი წარმატებული მოსწავლე ნიკოლოზ მამინაშვილია, რომელიც თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სკოლაში (ესმ)მოხდა 100%-იანი გრანტით. როგორც ის ღნიშნავს,ეროვნული გამოცდები კარგად მომზადებული აბიტურიენტისთვის პრობლემას არ წარმოადგენს,მან ისიც აღნიშნა,რომ იყო საგნები, რომლებშიც უფრო მაღალ შეფასებას ელოდებოდა, ან - პირიქით, თუმცა მთავარი შედეგია, რომელიც ამ შემთხვევაში ნამდვილად კარგია, რაც შეეხება მის არჩევანს - „უნივერსიტეტის არჩევისას ყველა ადამიანს განსხვავებული პრიორიტეტები აქვს. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო სამი კრიტერიუმი: სწავლის მაღალი ხარისხი, სასწავლო გარემო და საუკეთესო სტუდენტები. ვიმედოვნებ, მივიღებ კარგ განათლებას და შევძლებ გავხდე პროფესიონალი ჩემს სფეროში.“- ამბობს ნიკა მამინაშვილი.

რაც შეეხება მოსწავლეებს, რომლებმაც ვერ ჩააბარებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან აქვთ 9 კლასის ატესტატი, შეუძლიათ, განცხადება შეიტანონ ოზურგეთის პროფესიულ კოლეჯში. როგორც ლელა იმედაშვილი ამბობს,რეგისტრაცია უკვე დაწყებულია, მოსწავლეებს შეუძლიათ, მიბრძანდნენ რესურსცენტრში, სადაც დარეგისტრირებაში დაეხმარებიან.

ხატია ჟანიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

ცოფის შემთხვევა გურიანთაში

რამდენიმე დღის წინ, სოფ. გურანთაში თხა გაცოფდა. როგორც ამბობენ, თხა მაწანწალა ძაღლმა დაკბინა. ჯანდაცვის სამსახურებმა შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებები გაატარეს.ოჯახის წევრს თ. ც-ს, რომელიც უვლიდა პირუტყს და აჭმევდა მას ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უტარდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სოფელში ბოლო წლებში ცოფის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

ოზურგეთის საუკეთესო ჩოგბურთელი

ჩოგბურთი სპორტის „ელიტურ“ სახეობას მიეკუთვნება და მისი მასშტაბები საქართველოში დიდ გეოგრაფიულ არეალს არ მოიცავდა.გასული საუკუნის ბოლოს ოზურგეთელი ისტორიკოსის კახა ვასაძის მონდომებით და მეგობრების თანადგომით ჩოგბურთის სკოლა გაიხსნა და მალე ერთ-ერთი პოპულარული სპორტის სახეობა გახდა ოზურგეთში.

ოზურგეთის ჩოგბურთის სკოლის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის ირაკლი გელაშვილს, რომლის მონდომებამ აღიარება მოუტანა მას.

-ბავშვობიდან ფეხბურთს ვთამაშობდი ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ბასაში.“ფეხბურთელობაზე ვფიქრობდი,მაგრამ 14 წლის ასაკში მარცხენა ხელი მოვიტეხე და ფეხბურთს ჩამოვშორდი. იმ უბანში ვცოვრობ,სადაც ჩოგბურთის კორტია და დავიწყე ჩოგბურთის თამაში. მწვრთნელ დათო თავართქილაძეს მოსწონდა ჩემი მონაცემები. უკმაყოფილო არ ვარ, კარგი შედეგები მქონდა –გვიყვება ირაკლი გელაშვილი.

მართლაც შთამბეჭდავი შედეგები ჰქონდა ირაკლის. გურიის 2-გზის, ოზურგეთის მრავალგზის ჩემპიონი, არაერთ სხვა ტურნირში გამარჯვებული. 3-ჯერ მოიგო ჟანიკალანდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

2007 წელს ირაკლი გელაშვილმა თბილისის ღია ჩემპიონატზე მე-2 ადგილი დაიკავა, ხოლო ქ. ბათუმში, ვიტალი ასათიანის სახელობის ტურნირებზე ორჯერ აიღო საპრიზო ადგილი. ასევე წარმატებით გამოვიდა ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ცნობილი ჩოგბურთელები გამოდიოდნენ.

–ჩემს დროს საქართველოს ჩემპიონატი მხოლოდ 18 წელს ზემოთ სპორტსმენებისთვის ტარდებოდა. ამიტომ ვერ ვმონაწილეობდი. ახლა უმცროსი ასაკიდან დაწყებული, ყველა ასაკობრივ ჯგუფში ტარდება.

ირაკლი გელაშვილი წლების მანძილზე საქართველოს 10 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის რეიტინგში მე-4, მე-5 ადგილს იკავებდა, რაც ნამდვილად დიდიაღიარება იყო.

აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ იგი ყოველწლიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირებში. აქაც არაერთხელ გაიმარჯვა.

–ბოლო ტურნირში ჩემს მთავარ კონკურენტთან მამუკა ასათიანთან წავაგე. იმედი მაქვს მომავალში გავიმარჯვებ-ამბობს იგი. სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად კვირაში სამჯერ ტრენაჟორებზე ვარჯიშობს. ფეხბურთს თამაშობს.

ირაკლი გელაშვილი პროფესიით ეკონომისტ-ფინანსისტია. მუშაობს ბანკ „კონსტანტაში“ ბიზნესკრედიტების ექსპერტად.

სპორტული ფორმა ეხმარება სამსახურში წარმატებული იყოს და მომავალში მისი ერთგული გულშემატკივრები ირაკლის ახალ წარმატებებს ელოდებიან.

კახა ვასაძის თქმით, ირაკლი გელაშვილი გურიის ბოლო 20 წლის უძლიერესი ჩოგბურთელია.

დღეს იმის პირობაა შექმნილი, რომ გურიაში მსგავსი ჩოგბურთელები კვლავ აღიზარდონ

კურორტ გომისმთაზე წმ. ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარი აიგება

კურორტ გომისმთაზე წმ. ილია თეზბიტელის სახელობის ტაძრის აგებას შარშან ჩაეყარა საფუძველი. პროექტის ავტორი და არქიტექტორია მხატვარი ვახტანგ მამეიშვილი, სპონსორი და მშენებელი შპს „გზამშენი 18“(თეიმურაზ ჯახვა).

9 სექტემბერს ტაძრის გარე ფუნდამენტის ჩასხმის სამუშაოები მიმდინარეობდა.

ვახტანგ მამეიშვილი:– „წმ. ილია თეზბიტელის სახელობის ხის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია გომისმთაზე 2 200 მ. სიმაღლეზე შენდება. იგი აიგება კარგად გამშრალი ხის მასალისაგან. ტაძარი აშენდება ქართული, აჭარა-გურიაში გავრცელებული ტრადიციებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთაში „ღოჯის“პრინციპით აგება. ამ მეთოდით აშენდება ეს ტაძარი.

ჯვარ-გუმბათის ყელზე გამოყენებული იქნება ქართული დარბაზის პრინციპით გადამსვლელი ჭდობის მეთოდი, ასევე შესრულდება გუმბათის გვირგვინიც. ხისგან დამზადდება კანკელიც.

ტაძრის აივანი „ნავის“მსგავსი იქნება და დაეყრდნობა ხის ბოძებს. ამ მშენებლობას დასჭირდება 70-80 კუბ. მეტრი მრგვალი მორი, რაც დროულად უნდა გამოყოს აჭარის ხელისუფლებამ (წიწვოვანი ტყე გომისმთაზე ქობულეთის სატყეოს ეკუთვნის)“

9 სექტემბერს შპს „გზამშენი 18“-მა კურორტზე აიტანა სამშენებლო მასალები. ისინი კოორდინაციას უწევდნენ ახლგაზრდების ჯგუფის მუშაობას.

ირაკლი ჯულაყიძე, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი:–საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის, იუსტიციის სამინირტოებმა დააფინანსეს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი,“თეატრალური უნივერსიტეტის ახალგაზრდული ორგანიზაცია, მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაცია და ასევე ახალგაზრდული ორგანიზაცია „მომავლის აბაშა.“ეს ახალგაზრდები (მსახიობები, სტუდენტები და ა.შ) ამ პროექტის ფარგლებში მოგზაურობენ საქართველოში. იყვნენ ქუთაისში, სამტრედიაში, მარტვილში. ახლა ისინი გომისმთიდან ჭინჭაოს ტბას მოინახულებენ, შემდეგ მთის ბილიკებით შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაბელაშვილებში ჩავლენ ფეხით, იქედან ხიჭაურში საპატრიარქოს უნივერსიტეტს ესტუმრებიან და შემდეგ ქვემო აჭარას მოინახულებენ.

ახალგაზრდებმა საუცხოოდ იმუშავეს და საძირკველი ჩაასხეს. განსაკუთრებით გამოარჩევდით ჯგუფის ხელმძღვანელ გიორგი ყუფარაძეს და მსახიობ გიორგი ელიზბარაშვილს. ისინი ყველა ჯგუფს ეხმარებოდნენ, რომ ბეტონი ხარისხიანად ჩასხმულიყო.

ახალგაზრდების ჯგუფს მოგვიანებით შემოქმედლებიც შემოუერთდნენ. მუნიციპალიტეტის თემების საკრებულოს წარმომადგენელ ბესო ლომინაძესთან ერთად ამოვიდნენ.

ტაძრის საძირკვლის სამუშაოები მუნიციპალიტეტის თემების გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ ინახულა და მადლობა გადაუხადა ახალგაზრდებს თანადგომისთვის.

საძირკვლის ჩასხმაში მამა შიომაც (მენაბდე) მიიღო მონაწილეობა. მან გაზეთ „ალიონთან“თქვა:– „თითქმის ორი წელია, საფრანგეთში, ლიონში ვარ. ემიგრანტ ქართველების სულიერებას ვემსახურები. ტაძარში 250-მდე ქართველი დადის. ბავშვობიდან დავყავდით მე და ჩემი ძმა მამას გომისმთაზე. ძალიან მიყვარს აქაურობა. ლიონიდან რომ მოვდიოდი, იმას ვფიქრობდი, გომისმთაზე აუცილებლად ავალ. ერთი კვირაა აქ ვარ...

თამაზ იმერლიშვილი:– შემოქმედელი ვარ, მეზღვაური. რამდენიმე გემის კაპიტანი ვიყავი. ბოლოს პანამის დროშის ქვეშ გემ „ვალენტინას“კაპიტანი. მსოფლიოს არაერთი მხარე მინახავს, მაგრამ გომისმთა განუმეორებელია.

მეგზევეების გარდა უნდა აღვნიშნოთ გომისმთის პოლიციის (კახა კუპრაძე, ზვიად ოსეფაიშვილი) და ერთგული გომისმთელის ზურაბ ჩხარტიშვილის განსაკუთრებული ყურადღება ამ დღის პროცესებისადმი.

რამდენიმე დღეში ტაძრის საძირკვლის სამუშაოები დასრულდება.

ნუგზარ ასათიანი

„ვიცოდი, რომ ყველაფერი დიდ შრომასთან იყო დაკავშირებული“.

ნუგზარ ასათიანი

1937 წლამდე გერმანიაში ვოლფსბურგი არც თუ დიდი დასახლება იყო. ამ წელს ადოლფ ჰიტლერის პირდაპირი დავალებით აქ კომპანია „ფოლკსვაგენი“ დაარსდა, რომელსაც ყველა ოჯახისათვის ხელმისაწვდომი „სახალხო მანქანა“ უნდა გამოეშვა.

დღეისათვის კონცერნი „ფოლკსვაგენი“ მსოფლიოს და ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ავტომწარმოებელია. ამას ისიც დასტურებს, რომ ევროპაში ყოველი მეხუთე მსუბუქი ავტომანქანა „ვოლკსვაგენია.“

რაოდენ არ უნდა გაგიკვირდეთ, ამ კომპანიაში ოზურგეთელი ნინო ნიკოლაიშვილი მუშაობს. თუ როგორ მიაღწია მან წარმატებას და როგორი ცხოვრებით ცხოვრობენ გერმანელები, ამაზე იგი ეჭსკლუზიურად გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა:

–2003 წელს დავამთავრე ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა. ჩავირიცხე თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ეკონომიკისა და სამართლის გერმანულენოვან ფაკულტეტზე.

2006-2007 წლებში გავხდი DAAD-ის სტიპენდიანტი. ეს გერმანული ორგანიზაცია განვითარებადი ქვეყნების სტუდენტებს და ახალგაზრდა მეცნიერებს უფინანსებს სწავლას და სამეცნიერო კვლევას გერმანიაში. ასე მოვხდი გერმანიაში, მიდერზაქსენის მხარის ქ. ლუნებურგში ლიოფანას უნივერსიტეტში.

–იქ ხომ არავის იცნობდით. როგორ მიგიღეს?

– 19 წლის ვიყავი. მშობლებმა გამაცილეს თბილისი-ჰამბურის ავიარეისზე. პირველად ვიყავი აეროპორტში. ჰამბურგში ბუნებრივია, არავინ დამხვედრია. მთავარი ის იყო, რომ საკომუნიკაციო ენა ძალიან კარგად ვიცოდი, ვიყავი ძალიან მოტივირებული და ვფიქრობდი, ხომ მელოდებიან ლუმებერგში, ხომ მაქვს უნივერსიტეტის მისამართი, არ დავიკარგები.

6 თვე ვიყავი ლიოფანას უნივერსიტეტში. სწავლის დროს გერმანელმა პროფესორმა გამიშვა გასაუბრებაზე და ქ. ჰამბურგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გავიარე პრაქტიკა.

–უნივერსიტეტის შემდეგ როგორი იყო პირველი ნაბიჯები?

–დიპლომი რომ ავიღე, გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ვმუშაობდი თავისუფალ ჟურნალისტად. ეკონომიკის თემებზე ძირითადად „შპიგელიდან“ და სხვა ვებ-გვერდებიდან ვთარგმნიდი სტატიებს. განსაკუთრებით 2008 წელს ბევრი სტატია და ანალიტიკური დასკვნა ვთარგმნე ეკონომიკის კრიზისთან დაკავშირებით.

გარკვეული დროის შემდეგ გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება.

–ისევ გერმანია, ამჯერად სად მოხვდით?

–მაგისტრატურაში ჩავბარე ქ. ციტაუს (დრეზდენთან ახლოს) უნივერსიტეტში, პროექტმენეჯმენტისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე. გერმანიაში სწავლა უფასოა და უნივერსიტეტის სტიპენდიანტი გავხდი. 350 ევრო მქონდა. ეს საშუალებას მაძლევდა შემეძინა სასწავლო წიგნები, რვეულები. პარალელურად კვლევით პროექტებზე ვმუშაობდი და იქედან ვიღებდი დანარჩენ თანხას, რომ ბინის ქირა, კვებისა და მგზავრობის თანხები დამეფარა. წარმატებით დავამთავრე უნივერსიტეტი, მივიღე მაგისტრის წოდება და უფლება, რომ ერთი წლის განმავლობაში გერმანიაში მეპოვნა სამსახური. თანაც სავალდებულოა, იმუშაო შენი პროფესიით.

–სტიპენდია აღარ გქონდათ. როგორ უნდა გეცხოვრათ?

–მქონდა მუშაობიდან გადადებული თანხა. თანაც ვიცოდი, რომ ეს თანხა ერთ წელს არ გამწვდებოდა. სამაგისტრო ნამუშევარზე მუშაობის დაწყებიდან ვუგზავნიდი სხვადასხვა ორგანიზაციებს სვ-ს, რომელსაც პროფესორის რეკომენდაცია ერთვოდა.

2011 წლის გაზაფხულზე გასაუბრება გავიარე კომპანია „ფოლკსვაგენის“ საკონსულტაციო ფირმაში პროექტების მართვისა და ინჟინერიის თემების მრჩეველთა ბიუროში. აქ ვმუშაობ დღემდე. ჩვენი ბიურო აძლევს რჩევებს და ექსპერტიზას „ფოლკსვაგენის“ კომპანიის სხვადასხვა ფირმებს. ვმუშაობ მრჩევლად ელექტროენერგიის განყოფილებაში და ვხელმძღვანელობ კრიტიკულ პროექტებს.

–როგორ შეგვე ვოლფსბურგს, გერმანული ცხოვრების წესს?

– ვოლფსბურგი ჩრდილო-დასავლეთი გერმანიის ქალაქია. აქ მდებარეობს კონცერნ „ფოლკსვაგენის“ სათაო ოფისი. რაც შეეხება გერმანული ცხოვრების წესს, იქ შრომით აფასებენ ადამიანს. შენს მონდომებას აფასებენ, მოსწონთ ადამიანი ორგანიზებული რომ არის. იქ რომ მივედი კრიტიკულად არ შემიხედავს, იმისთვის, რომ იქ სხვა კულტურაა, სხვა გაგებაა. ამან გამიადვილა იქ ცხოვრება.

– რა არ მოსწონთ გერმანელებს?

– გერმანელებს არ მოსწონთ გადაჭარბებული ემოციები. გულწრფელი, მარტივი, გასაგები ურთიერთობები აქვთ.

–როგორი ურთიერთობები გაქვთ კოლეგებთან, როგორ ატარებთ თავისუფალ დროს. როგორია იქ ქალისადმი დამოკიდებულება?

–კოლეგებთან შესვენებებზე ვგეგმავთ, როგორ გავატაროთ თავისუფალი დრო. შაბათობით დავდივართ ლუდის დასალევად (მე მხოლოდ ლუდის დეგუსტაცია მიყვარს) ან ბოულინგის სათამაშოდ, გოგონებთან ერთად დავდივარ საყიდლებზე ან წიგნს ვკითხულობ...იქ გადაჭარბები არ მოდის. სამსახურში თუკი მამაკაცი ზედმეტ ყურადღებას გამოიჩენს ქალის მიმართ, ეს მის კარიერაზე იმოქმედებს. ხოლო თავისუფალ დროსაც უნდა იყოს გაწონასწორებული ურთიერთობა მათ შორის.

–როგორია თანამშრომლებს შორის კონკურენცია?

–საკმაოდ მაღალი კონკურენციაა თანამშრომლებს შორის. წელიწადში ერთხელ ხდება გადამზადება. უნდა მიიღო სერთიფიკატი სხვადასხვა სფეროში და აჩვენო, რომ კვალიფიკაცია აიმაღლე. მე მრჩეველთა სამსახურში ვმუშაობ და უნდა ვიცოდე, რომ მუდამ უნდა ვისწავლო, რჩევა უნდა მივცე სხვას. წარმოიდგინეთ, „ფოლკსვაგენის“ ქარხნის ტერიტორია მონაკოს სახელმწიფოს ტოლია. მე კონსულტანტთა ჯგუფში ყველაზე უმცროსი ვარ (ერთადერთი ქართველი იმ ქალაქში) და მეც ოვივე სტანდარტი უნდა შევთავაზო, რაც იქ გააჩნიათ.

–რა სიახლეებს გეგმავს „ვოლკსვაგენი?“

– ზოგადად გიპასუხებთ. საავტომობილო ბაზრის ლიდერობის მოსურნე კონცერნი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ახალ პროექტებს ამუშავებენ, რაც ბაზრის გაფართოებას შეუწყობს ხელს. ჩვენი ბიურო ახალ სანავიგაციო სისტემებზე მუშაობს. ეს იქნება ე.წ. „მოლაპარაკე ავტომობილი“, სადაც ავტომობილი პასუხობს ტელეფონის ზარს, „კითხულობას“ სმს-ს და ა.შ.

2018-2021 წლისათვის „ფოლკსვაგენი“ სრულიად ახალ ავტომობილებს შესთავაზებს მსოფლიო ბაზარს. ერთის მხრივ იქნება დაბალფასიანი ავტომობილები, რომელიც აზია ოკეანიის ბაზარზეა გათვლილი და იქნება ახალი მანქანები, რომლის ფასი ალბათ 60-90 ათასი ევრო ეღირება. ქართულ ბაზარზეც გაყიდვები გაიზრდება.

–როგორი ბინა გაქვთ, რას გეგმავთ ყოველკვირეულად?

–ოროთახიანი კერძო ბინა მაქვს ნაქირავები. გავარემონტე, ავეჯი შევიძინე, პიანინო. რადგან ჩემი ხარჯით გავარემონტე ბინა, შედარებით ნაკლებს ვიხდი ბინის ქირას. ლამაზი აივანი მაქვს. იქ შეძენილ მეგობრებს, თანამშრომლებს ვღებულობ.

–თუ საუბრობთ პოლიტიკაზე?

–ეს ცუდ ტონად ითვლება. გერმანელები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკაზე პოლიტიკოსებმა უნდა ილაპარაკონ. მათ ხომ ფულს გადასახადის გადამხდელები უხდიან. მათ მხოლოდ არჩევნებზე უნდა დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია.

–მეზობლური ურთიერთობები?

–პირველ ღამეს ბინაში რომ მივედი ციოდა. მეზობელმა ბებომ მომიტანა პლედი. ძალიან კარგი მეზობელი მყავს, ფრაუ ქინცე.

–ახლა გადასახადებზე გვიამბეთ.

–გადასახადი არასდროს არ უნდა მოიპარო. თითქმის ხელფასის ნახევარი მიდის გადასახადებზე. მაღალი ანაზღაურება არის ბიუროში. ჩამოგითვლით რა გადასახადი უნდა გადაიხადო: სამედიცინო დაზღვევა, საპენსიო ფონდში შენატანი (რომ სიბერეში კარგი პენსია მიიღო), უმუშევრობის ფონდი (ფინასური დახმარება რომ მიიღო უმუშევრობისას, სანამ ახალ სამსახურს იპოვი), ბინის ქირა (საკმაოდ მაღალია). წყლის, გათბობის (აქ ცივი მხარეა) ელექტროენერგიის, მიწის (კერძო საკუთრებაში ძალიან ცოტა მიწებია, ძირითადად ეკლესიას ეკუთვნის), წვიმის წყლის გადასახადი (სახურავიდან ჩამოსული წყალი) და ა.შ.

–როგორ ცხოვრობენ გერმანიაში ადამიანები?

–ღირსეულად. არასდროს არაფერი ენატრებათ. მე პირადად წელს ზამთრის შვებულება კანარის კუნძულებზე გავატარე.

–გერმანელები ყველაფერს გეგმავენ?

–კი ასეა, პირად ცხოვრებასაც გეგმავენ. ორი ახალგაზრდა რომ დაქორწინდეს, ორთავე უნდა მუშაობდეს, რომ შეძლონ ბინის შეძენა.შვილი უნდა დაგეგმონ. ახალი წლის დასაწყისში სამსახურის ხელმძღვანელობა კითხულობს, შვილს ხომ არ გეგმავს რომელიმე, რომ მათ სამუშაო გრაფიკში შესაბამისი ცვლილებები გაითვალისწინონ....

–თქვენ მოკლე დროში წარმატებული კარიერა გაიკეთეთ. რას ურჩევდით ახალგაზრდებს?

– სკოლაში, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ვსწავლობდი იმაზე მეტს, ვიდრე ითხოვდნენ. ვსწავლობდი არა შეფასებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის.

ვიცოდი, რომ ყველაფერი დიდ შრომასთან იყო დაკავშირებული. 3,4-ჯერ მეტი უნდა ისწავლო, რომ ვინმემ დაგინახოს.

–თანატოლებიდან ვის დასახელებდით წარმატებულად?

–ჩემი თაობიდან ძალიან კარგი ახალგაზრდები წამოვიდნენ. რამდენიმეს დავასახელებ: ვახუშტი მენაბდე, არჩილ თალაკვაძე, გიორგი კეკელიძე ჩემი სკოლიდან, გიგი მახარაძე (№2 სკოლიდან), შემიძლია სხვებიც ჩამოვთვალო. ისინი კარგად სწავლობდნენ და მოტივირებულნი იყვნენ ცხოვრებისათვის...

–ახალ კარიერაზე თუ ფიქრობ?

–სხვადასხვა ფირმებიდან ათეულობით შემოთავაზება მაქვს. ჯერ-ჯერობით „ფოლკსვაგენში“ ვრჩები. აქ კარგი პირობები მაქვს.

–წარმატებებს გისურვებთ..

ვულოცავთ!

ჩვენს უსაყვარლეს მეგობარს, უკეთილშობილეს ქალბატონს, არაჩვეულებრივ პედაგოგს, ლამაზი ოჯახის თავქალს

ნანი სალუქვაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ულევ სიხარულს, ოჯახურ ბედნიერებას.

ამასთან ერთად ვულოცავთ ახალი სასაწავლო წლის დაწყებას.

კვლავ ჩვეული ენერგიით, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით, თქვენეული ნიჭით და უნარით გელვაწოთ მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმიანობაში.

უფლის წყალობით, კეთილდღეობა არ მოგკლებოდეთ.

როზა გოგუაძე, იამზე ღლონტი, ლელა თავდიშვილი, ლუიზა ცერცვაძ

ომარ ბაკურაძის ოჯახს ვულოცავ ბატონ ომარის დაბადების დღეს.

ვისურვებთ გაძლიერებას და ღვთის მფარველობას.

პატივისცემით,

ლალი ბასილაშვილი

სიკეთით გამორჩეულ ადამიანს, განათლებულს, კარგი, ტრადიციული ოჯახის ღირსეულ გამგრძელებელს, შესანიშნავი ლექსების ავტორს, ბატონ ომარ ბაკურაძეს ვულოცავ 60 წლის იუბილეს.

ღმერთმა დაგილოცოს გასავლელი ცხოვრების წლები.

ნოდარ დონაძე.

ნორჩი ვირტუოზი

ასეთი პოპულარობა 9 წლის ასაკში მხოლოდ ერთეულ მომღერლებს თუ ჰქონდათ.

პატარა ნოდარ დონაძის წარმატებაში ალბათ მთავარი წვლილი მის გენს მიუძღვის. ცნობილი ხალხური მომღერალი იყო მისი დიდი ბაბუა არტემ დონაძე. მღეროდა და მღერის ანზორ ერქომაიშვილის თანაკურსელი და მეგობარი ბაბუა ნოდარი, ნოდიკოს დედ-მამა და მამიდები. ამიტომ თხინვალელებს არ გაჰკვირვებიათ, როცა პატარა ნოდარი დიდ სცენაზე დაინახეს.

ნოდარ დონაძე ფოლკლორულ ანსამბლ „ედელვაისის“ (გიორგი ჩიხლაძე) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო თეატრთან არსებული „ქართული ჰანგების“ (ჯემალ ჭელიძე) წევრია. არაერთ კონკურსსა თუ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსში „ბათუმური შემოდგომა 2013“, ფოლკლორულ ანსამბლ „ედელვაისს“ „ვრამპრი“ გადაეცა, ხოლო ანსამბლის სოლისტს, პატარა ნოდიკოს ოქროს სამკერდე ნიშანი; გიორგი სალუქვაძის სახელობის მე-4 საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა მიხეილ შავიშვილის სახელობის დიპლომით. იგი დაჯილდოვეს ხალხური ფოლკლორის საერთაშორისო ტრადიციულ ფესტივალ-კონკურსში როგორც ვოკალურ და ინსტრუმენტულ ანსამბლ „გურიის ვირტუოზების“ წევრი.

ნოდიკომ რამდენიმე დიპლომი მიიღო ქართული კულტურის, ფოლკლორის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კავშირისაგან.

იგი გამოდიოდა ქ. თბილისში, ბათუმში, ქობულეთში, საჩხერეში, დაბა მესტიასა და ურეკში სხვადასხვა ფოლკლორულ ფესტივალებზე. მიღებული აქვს დიპლომები და შესაბამისი სამკერდე ნიშნები.

სოფ. თხინვალის საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე სწავლაშიც წარმატებულია და აქაც დაჯილდოეს წარჩინებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევისთვის.

მურთაზ აბაშიძემ სასამართლოს მიმართა

მარი კოკოევი

ოზურგეთის სტადიონის ყოფილმა დირექტორმა მურთაზ აბაშიძემ სამსახურიდან განთავისუფლების გამო სასამართლოს მიმართა.

,,ქ. ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობიდან ყოველგვარი საფუძვლის და მოტივაციის გარეშე გამთავისუფლა" – განაცხადა აბაშიძემ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ ბრიფინგზე.

„არ ვიყავი გაფრთხილებული მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. გათავისუფლებული ვარ 18 აგვისტოს მე კი ამის შესახებ გავიგე 4 დღის შემდეგ პრესის საშუალებით. ჩემი გათავისუფლების საფუძვლების შესახებ მერიის თანამდებობის პირებმა გააკეთეს განცხადება რომ მე არაკეთილსინდისიერად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. ასევე განაცხადეს, რომ მე მქონდა ფინანსური დარღვევები. გაკეთებული განცხადებები არის უპასუხისმგებლო და სრულიად დაუსაბუთებელი. ასეთი განცხადებები ლახავს ჩემს პატივსა და ღირსებას" – განაცხადა მურთაზ აბაშიძემ.

მურთაზ აბაშიძე ქართველი ფეხბურთელების გასული საუკუნის 70-იანელთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებმაც ასახელეს ქართული ფეხბურთი და დიდი წარმატებები ჰქონდათ იმდროინდელ საკავშირო გათამაშების უმაღლესი, პირველ და მეორე ლიგის გუნდებს შორის.

მურთაზ აბაშიძე გამოდიოდა ისეთ ძლიერ კლუბებში, როგორიც იყო ოდესის ,,ჩერნომორეცი,"ლენინგრადის ,,დინამო," თბილისის ,,ლოკომოტივი." მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ოზურგეთის ,,მერცხალის" წარმატებებში, სადაც მან 9 სეზონი ითამაშა და ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გოლეადორი იყო გუნდში.

მურთაზ აბაშიძეს დიდი წვლილი მიუძღვის დაბა ხარაგოულში ფეხბურთის განვითარების საქმეში. ხარაგოულელებმა პატივისცემის ნიშნად ,,ჩხერიმელას" სტადიონს ძმები აბაშიძეების სახელი მიანიჭეს.

მურთაზ აბაშიძე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილეა. მისი მონდომებით ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინ, ბაღში, საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა უკვდავსაყოფად მემორიალური სვეტი დაიდგა.

მურთაზ აბაშიძეს დიდი წვლილი მიუძღვის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში ,,ქართული ოცნების" გამარჯვებაში. იგი მობილურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, რომელიც უზრუნველყოფდა ოპოზიციურ კანდიდატთა უსაფრთხოებას.

მურთაზ აბაშიძემ ოზურგეთის სტადიონზე დირექტორად დანიშვნისთანავე დაიწყო ზრუნვა სტადიონის კეთილმოწყობისათვის. იგი პირად მაგალითს აძლევდა ყველას და ხელებდაკაპიწებული ფიზიკურადაც მუშაობდა სტადიონზე ელემენტარული წესრიგის დასამყარებლად. დიდი მუშაობა გასწია სტადიონის მინდვრის საფარის წესრიგში მოსაყვანად და დღეს იგი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში პირველი ლიგის გუნდებს შორის. მისი ბრძოლის შედეგად მიმდინარეობდა გასახდელების რემონტი, ფეხბურთელთა საერთო საცხოვრებელის კეთილმოწყობის სამუშაოები.– საუბრობენ მისი გულშემატკივრები.

ბესიკ მემარნიშვილი

გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილმა მოვლენებმა არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის იყო ცხემლისხიდელი ბესიკ მემარნიშვილი.

მამია და ნუნუ მემარნიშვილების ოჯახს იცნობდნენ არა მარტო ცხემლისხიდში. მათ სამი შვილი ზურაბი, ბესიკი, ქეთევანი აღზარდეს.

ბესო ეროვნული მოძრაობის წლებში გავიცანი. ვაჟკაცი, შეუპოვარი, მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი იყო, შემდეგ ამ საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს.

ბესო ძალიან ამყობდა თავისი ძმის ოჯახით. ზურაბი, ცნობილი მძლეოსანი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და არაერთ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. სპორტმა შეახვედრა იგი ასევე მძლეოსანს, სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორს მაია აზარაშვილს და ლამაზი ოჯახი შექმნეს. მახსოვს (მაშინ ნუცუბიძის პლატოზე ცხოვრობდნენ) როგორ მასპინძლობდნენ ოზურგეთლებს.

ბესო და მის მეუღლე ნატო ბარამიძე ქალ-ვაჟს ზრდიდნენ....

განსაკუთრებით დაიძაბა საქართველოში მდგომარეობა 1991 წლის დეკემბერში. სამოქალაქო ომმა დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას. მომდევნო პერიოდი ძალიან რთული იყო. განუკითხაობის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო არჩევნების დროულად ჩატარება. მოხდა ისე, რომ საოლქო-საარჩევნო კომისიაში ერთად მოვხდით. არ იყო ადვილი 1992 წელს საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. კომისიაზე ბევრად იყო დამოკიდებული, რამდენად ობიექტურად ჩაატარებდა არჩევნებს. უნდა ითქვას, რომ ეს არჩევნები უფრო სამართლიანი იყო, ვიდრე მომდევნო არჩევნები. ამ საქმეში ბესომაც შეიტანა თავისი წვლილი, ისევე, როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისთვის ბრძოლაში სამაჩაბლოში.

ბესოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჟურნალისტთა პრეს კლუბთან. ამიტომაც იყო პრესკლუბის გაზეთმა ,,თვალსაწიერმა"(ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემა იყო გურიაში) სათანადოდ აღნიშნა ბესოს ტრაგიკული სიკვდილი.

იდგა 1993 წლის თებერვალი...ეს ის პერიოდი იყო, ადამიანის სიცოცხლე შეეძლოთ უმნიშვნელო მიზეზითაც გაენადგურებინათ. ბესო ამ დროს ცხემლისხიდის ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგად, წარმოების უფროსად მუშაობდა... სასიკვდილოდ გაიმეტეს და განაჩენიც აღასრულეს...

ბესოს მეუღლემ და ქალბატონმა ნუნუმ აღზარდეს ბესოს შვილები. ძმა ზურაბი და ქეთევანი, ქეთევანის მეუღლე გელა ჭანუყვაძესთან (ამჟამად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის განყოფილების უფროსი) ერთად გვერდით ედგა დაობლებულ ოჯახს. გავიდა წლები, შვილები გაიზარდნენ. მამუკა დაოჯახდა. ახლა პატარა ალექსანდრე ჰყვათ. ნათია პროფესიით იურისტია და ამჟამად უცხოეთშია. ბესოს დედა, ქალბატონი ნუნუ კი, ორი წლის წინ გარდაიცვალა.

ბესოს საფლავი სოფლის ამაღლებულ ადგილას, ზემო უჩხუბის გორზეა, იქ, სადაც მისი წინაპრები განისვენებენ. წელს, ზაფხულში მის ძმასთან, ზურასთან ერთად ავედით საფლავზე. მოვიხსენიეთ და გავიხსენეთ, თუ რა ტკივილი დაგვიტოვა იმ რთულმა წლებმა. წლებმა, რომელმაც არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ომი, რომელიც იყო არა მარტო ფრონტზე, არამედ იყო ყველგან...

ნუგზარ ასათიანი

დათუნა შალიკავას ჯერ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ამჯერად კი მოქმედი პრემიერი დაეხმარა

2 სექტემბერს დათუნა შალიკავა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის დაფინანსებით მკურნალობის კურსის გასავლელად გერმანიაში გაემგზავრა. იგი 18 წლისაა და 2 წლის წინ მდინარეში გადახტომის შედეგად მძიმედ დაშავდა,ხერხემლის მე-4 და მე-5 მალა დაუზიანდა, ოთხივე კიდურით პარალიზებული გახდა და საწოლს მიეჯაჭვა. თავდაპირველად მისი სიცოცხლე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა იხსნა.2012 წელს საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის დასრულებისას ბებიამისი, ლალი შალიკავა, ბიძინა ივანიშვილთან მისულა და შვილიშვილის გადარჩენა უთხოვია.იმ დროს დათუნა ქუთაისის საავადმყოფოში სიკვდილს ებრძოდა. ბიძინა ივანიშვილს მეისერი გადაწყვეტილება მიუღია, დათო თბილისში "ნიუ გოსპიტალში" გადაუყვანია და მისი მკურნალობის ხარჯები მთლიანად დაუფინანსებია.დათოს სიცოცხლე გადარჩა, მაგრამ ეტლს მიეჯაჭვა.

–,,მამა არ მახსოვს. შორეული ნატვრითა და ოცნებით ველოლიავები მის სურათს. საამყო მამა მყავდა, მუდამ მას დავეძებდი. ოთხი წლისამ იმ ჩარჩოს გატეხვა გადავწყვიტე, რომელშიც მამის სურათი იდო. ბაღში ყველას მამა აკითხავდა და მეც მინდოდა იმ ჩარჩოდან გამოსულიყო და ბაღში წავეცანე"-ეს ამონარიდი გახლავთ იმ წერილიდან,რომელიც დათუნამ 14 წლის ასაკში დაწერა და რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ,,მე მიყვარს ჩემი პოლიცია" მიიღო მონაწილეობა და ფულადი პრემია დაიმსახურა.

დათო შალიკავას მამა, ნუგზარ შალიკავა, პოლიციის უფროსი სერჟანტი იყო და ოზურგეთის პოლიციაში მსახურობდა. 1996 წლის 11 ოქტომბერს სოფელ ცხემლისხიდში შეიარაღებულ ბანდასთან გამკლავებისას დაიღუპა. როცა შემოვლაზე მიდიოდა,მანქანაში ჩაჯდომისას მეგობრისათვის უთქვამს:" თუ მომკლავენ,შვილს ხომ ვტოვებო". მაშინ ნუგზარი 24 წლის იყო,დათუნა კი- მხოლოდ 7 თვის.

მე არ ძალმიძს ნუგზარიზე, როგორც რიგით ადამიანზე წერა.იგი ჩემი მეგობარი და თანაკლასელი გახლდათ. ერთად დავამთავრეთ სოფელ ძიმითის საშუალო სკოლა ნუგზარი ყველასაგან გამორჩეული, გაუტეხელი სულის და ვაჟკაცური ბუნების ადამიანი იყო.ამიტომაც მისი გმირული სულისკვეთება ჩვენთვის,მისი თანაკლასელებისათვის, უცხო არ ყოფილა. ჩვენ ვამაყობთ მისით.

დათუნა შალიკავას გერმანიაში ვიზიტი ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაფინანსამან 50 000 ევრო გადარიცხა გერმანიაში დათოს სარეაბილიტაციოდ. 31 მაისს, წინასაარჩევნოდ ოზურგეთში ჩამობრძანებულ ირაკლი ღარიბაშვილს მიტინგის დასრულების შემდეგ დათოს ბებია ლალი შალიკავა დახვდა და დათუნას საზღვარგარეთ გასამგზავრებლად დახმარება სთხოვა. პრემიერ-მინისტრი ქალბატონ ლალის დაჰპირდა, რომ დათუნას გერმანიაში გამგზავრებას უზრუნველყოფდა. ოჯახი რამდენიმე დღე ელოდა პრემიერისაგან გამოხმაურებას, შემდეგ დეპუტატის ბიუროში მოვიდა და ბატონი ზვიადისაგან დახმარება ითხოვა, რომ პრემიერისათვის დანაპირები შეეხსენებინა. ზვიად კვაჭანტირაძემ ღარიბაშვილს წერილით მიმართა. ,,...გურიის გუბერნატორის,გიორგი ჩხაიძის მეშვეობით ოჯახმა შეიტყო,რომ დავით შალიკავას მკურნალობის ხარჯები სრულად დაფინანსდებოდა. ამის შემდეგ გუბერნატორის აპარატში შალიკავებს ვერაფერს პასუხობენ. ავადმყოფის მდგომარეობა კი მძიმდება.ლალი შალიკავამ ამჯერად მე მთხოვა დაბეჯითებით მეთხოვა თქვენთვის აღნიშნული საკითხის შეხსენება. იმედია მალე ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. ასეთი გულისხმიერებისა და ოზურგეთელი ბიჭის მიმართ გაწეული დახმარებისათვის წინასწარ უღრმეს მადლობას გიძღვნით მისი ოჯახის და ახლობლების სახელით.პატივისცემით, ზვიად კვაჭანტირაძე."ამ წერილიდან რამდენიმე დღეში ლალი შალიკავას ჯანმრთელობის სამინისტროდან დაუკავშირდნენ, საჭირო საბუთების მიტანა სთხოვეს და დათო შალიკავას გერმანიაში გამგზავრება 2 სექტემბრისათვის დაგეგმეს.

დათუნა ამჟამად გერმანიაშია. მისი ახლობლები, მეგობრები, თანაკლასელები,მთელი ქალაქი ველოდებით მის დაბრუნებას. ჯანმრთელობას ვუსურვებთ გმირი მამის ერთადერთ ვაჟიშვილს ,რომელიც უცილობლად განიკურნება.

დათო შალიკავას ბებია ლალი შალიკავა და მისი ოჯახის წევრები უდიდეს მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს,ვინც გულთან მიიტანა დათუნას მდგომარეობა და ხელი შეუწყო მის გამგზავრებას.

დათოს გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენ, ნუგზარის თანაკლასელები ,აუცილებლად მივალთ ნუგზარის საფლავთან და ყველანი ერთად ვიზეიმებთ სკოლის დამთავრების 25 წლისთავსა და დათოს გამოჯანმრთელებას.

ნინო კუკულაძე,
ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს პრესსამსახური

თამაზ მუჯირი



40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან ცრემლიანი და ტკივილიანი დღეები. ასე გაგრძელდება დიდხანს, უსასრულოდ შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების, ნათესავების, ნაცნობ და უახლოესი მეგობრებისთვის.

ადამიანის სიცოცხლე არაფრად ღირს. საქმე ისაა, ადამიანი როგორ მოიხმას მას, სწორედ ამიტომ ედება ფასი სიცოცხლეს.

გვტკივა და ვიხსენებთ მოგონებად გადაქცეულ ცხოვრების ფურცლებს, რომლებიც აღსავსე იყო სიყვარულით, ერთგულებით, რადგან დავკარგეთ ის ძვირფასი ადამიანი, რომელიც აურაცხელ სიმდიდრეს ატარებდი გარშემომყოფთათვის.

რაც დრო გავა, მით უფრო მეტად დაედება ფასი შენთან ერთად გატარებულ დღეებს, ჩემო საყვარელო, ძვირფასო თამაზ.

ღმერთს შევთხოვთ სასუფეველში ამყოფოს შენი სული.

ოჯახი.

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი აცხადებს ვაკანსიას ინგლისური ენის მასწავლებლის პოზიციაზე.
საკონტაქტო ინფორმაცია:
ქ. ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4;
ტელ: (599) 15 63 84.

იყიდება
ოროთახიანი ბინა 12-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე.
მის. ქ. ოზურგეთი, გრიბოედოვის ქ.№ 31
ტელ: (599) 24 95 51.

ძვირფასო მოსწავლეებო, პედაგოგებო, მშობლებო! გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ, თქვენი ცხოვრების გზა ღვთაებრივი სიბრძნითა და ჭეშმარიტებით იყოს გასხივოსნებული. ნაყოფიერი წელი დაგდგომოდეთ!

ლელა საჯაია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების,კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მოსწავლეს, პედაგოგს, მშობლებს! ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. განსაკუთრებით მინდა მივულოცო პირველკლასელებს, პირველკურსელებს.

გია მამაკაიშვილი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი

ახალი სასაწავლო წლის დაწყებას ვულოცავ მასვის თემის ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობლებს. ყველა ახალგაზრდას ვუსურვებ ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილები გამხდარიყონ.

ერეკლი გორდელაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე

ჩემო ოზურგეთლებო! ჩემო ნასაკი-რალელებო!

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ წარმატებებს!

ზოთა ართმელაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე

რესტორანი „თამახირონი“

აქ თქვენს განკარგულებაშია ევროსტანდარტის დონეზე რეი-კაციანი დარბაზი, უმაღლესი კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალით. უგემრიელესი კერძები, საუკეთესო მომსახურება.
აქ თევენ შეგიძლიათ ქორწილის, სხვა რიტუალის გადახდა, დაბადების დღის აღნიშვნა. იფუნქციონირებს ყოველდღიური რესტორანი.
რესტორანს აქვს ავტომანქანების სადგომი, ვიდეოკონტროლით.
მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურამიშვილის ქ. №25
(რ)

„ჩემი მარკეტი“

დიდი არჩევანი - დაბალი ფასები!
მის. ქ. ოზურგეთი, ერისთავის ქ. №8
(პირველი სავაჭრო სახლი).

სასტუმრო „ბრუქსი“, „ბრუქს ბარი“

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!
მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №17
(რ)

შპს. „ვასაძის პუნი“ გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

ქ. ოზურგეთი,
გაბრიელ ეპიკოპოსის ქ. 1

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3. ტელ: 558 499 100; გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18.11. 2004. №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“